საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მუნასიბი

მუნასიბი, ძველი ქართული ექსპრომტი (ი. ჭავჭავაძის ტერმინოლოგიით „სახელდახელო“), მოკლე, ჩვეულებრივ რამდენიმესტრიქონიანი ლექსი, წარმოთქმული ან დაწერილი უცებ, წინასწარ მოუფიქრებლად რაიმე კონკრეტული შემთხვევის გამო. **მ**-ს საფუძვლად უდევს მახვილგონივრული აზრი. იგი უმეტესად სახუმარო და სატირულია, ზოგჯერ კი ვინმეს შექებაა. ცნობილია პ. იაშვილის **მ**-ები. **მ**. განსაკუთრებით გავრცელებულია ფშავში, სადაც დღესაც შენარჩუნებულია ზეპირი პოეტური იმპროვიზაციის ტრადიციები. იქ მას კაფიას უწოდებენ.

გ. მიქაძე